

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №

2023 წლის „ მაისი, ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის „ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურა - (ფაზა V)“-ის განსახორციელებლად საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის პიურველი, მე-3 და მე-7 პუნქტების, საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სახლით, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KFW) და საქართველოს მთავრობას (წარმოდგენილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახით) შორის გაფორმებული სასესხო შეთანხმების („ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურა - (ფაზა V)“- (BMZ-No. 2021 70 306) ფარგლებში, 53 000 000 (ორმოცდაცამეტი მილიონი) ევროს ოდენობით მიღების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე.

2. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის „ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურა - (ფაზა V)“-ის განსახორციელებლად საქართველოს მთავრობასთან ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ქ. ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის პროექტი ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პროექტია აჭარის რეგიონში, რომლისთვისაც საქართველო-გერმანიის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში 2007 წელს გერმანიის განვითარების ბანკის (KfW) მიერ გამოიყო შეღავათიანი სესხი, რომელიც ითვალისწინებდა საგრანტო კომპონენტსაც, მისი განხორციელება დაიწყო 2008 წლის იანვარში. 2022 წელს დასრულდა პროექტის ოთხი ფაზა.

2022 წლის 7 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელდა გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გაფორმებული სასესხო შეთანხმების („ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურა - (ფაზა V)“) რატიფიცირება.

სესხის ოდენობა შეადგენს 53 მლ. ევროს და ასევე გამოყოფილია 2 მლ. ევროს გრანტი თანმდევი ღონისძიებებისთვის, ამავე პროექტის ფარგლებში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი დამატებით გაიღებს 25 მლნ. ევროს ხარჯებს.

ა.ა) პროექტის მიზანი:

კომუნალური ინფრასტრუქტურის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი წყლის და წყალარინების სისტემების მოწყობა და გამართული ფუნქციონირება ქალაქის შემოერთებულ ტერიტორიებზე, კერძოდ, პროექტის ფარგლებში განხორციელდება შემდეგ ღონისძიებები: ადლიის წყალანირების გამწმენდი ნაგებობის გაფართოება; ა და ბ სატუმბი სადგურების გაფართოება; აეროპორტის, ინდუსტრიული და კახაბრის დასახლებების წყალანირება; ინჯალოს წყლის სამარაგე რეზერვუარის, წყალსადენის და სასმელი მკვებავი ხაზის მშენებლობა; მეჯინისწყლის ჭაბურღილების წარმარდობის გაზრდა; ჩაქვის წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია; ხელვაჩაურის და აეროპორტის წყალმომარაგების ქსელი.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

უწყვეტი წყალმომარაგების სისტემის განვითარება, წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია და გარემოს დაბინძურებისა და მასზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირება.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის შემოსავლების ზრდას, მომსახურების ტარიფების სისტემის დანერგვის შედეგად.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია აღნიშნული პროექტის ფარგლებში აიღებს სესხს 53 მლნ ევროს ოდენობით (ვალდებულებებით), ასევე მოცემულ პროექტში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობა იქნება 25 მლნ ევროს ოდენობით.

აგრეთვე პროექტი დადებით გავლენას მოახდენს მუნიციპალური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, სატარიფო სისტემის დანერგვისა და გამართული ფუნქციონირების შედეგად.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

პროექტის მომზადებისას, კონსულტაციები იქნა გავლილი საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური პოლიტიკის
სამსახურის უფროსი

რუსუდან ჟოჟაძე